თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების
დასავლეთის რეგიონალური ცენტრი
ქ.ქუთაისი, ფოთის ქ N40
nuralidze@gmail.com
მობ:+995 599 27 73 38

West Regional Center
of Modern Medical Technologies
N40 POTI st, KUTAISI,GEORGIA
nuralidze@gmail.com
MOB:+995 599 27 73 38

შპს „თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დასავლეთის რეგიონალური ცენტრი"-ს დირექტორის
ბრძანება № 14/m
28 ივნისი 2020 წელი
ქ. ქუთაისი

შპს „თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დასავლეთის რეგიონალური ცენტრი"-ს პერსონალის მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისა და კონტროლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებების თაობაზე

შპს „თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დასავლეთის რეგიონალური ცენტრი"-ს პერსონალის მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისა და კონტროლის მიზნით, შპს „თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დასავლეთის რეგიონალური ცენტრი"-ს დამფუძნებელი პარტნიორის გადაწყვეტილების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. შპს „თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დასავლეთის რეგიონალური ცენტრი"-ის გენერალურ დირექტორს (ბ-ნი კახა ნურალიძე), დირექტორის მოადგილეს სამედიცინო ხარისხის კონტროლის დარგში (ბ-ნი ვაჟა აგლაძე) და სამედიცინო დირექტორი მოადგილეს (ბ-ნი კორნელი გრიგოლავა) დაევალოთ, ყოველი თვის 7 რიცხვამდე კლინიკის საკონფერენციო დარბაზში წინასწარ გამოცხადებულ დღესა და დროზე უზრუნველყონ კლინიკის სამსახურების, განყოფილებების, დეპარტამენტების (მათ შორის ამბულატორიული კაბინეტების), ხელმძღვანელების, დეტალური ანგარიშის საჯარო მოსმენა მათ და მათ დაქვემდებარებაში მყოფი პერსონალის მიერ გასულ თვეში გაწეული მუშაობის თაობაზე, შესაბამისად მოხდეს ერთი თვის მანძილზე გაწეული მუშაობის ანალიზი და შეჯამება.
2. ბ-ნები კახა ნურალიძე, ვაჟა აგლაძე და კორნელი გრიგოლავა ვალდებულნი არიან ყოველ 3-6 თვეში ერთხელ მოახდინონ წინა თვეების შედეგების შეჯამება და მიღებული ინფორმაციის კლინიკის დირექტორისათვის და დამფუძნებელი პარნიორისათვის წარდგენა, რის საფუძველზედაც კლინიკა მიიღებს გადაწყვეტილებას სტაბილურად მაღალი მაჩვენებლის მქონე პერსონალის წახალისების, ხოლო დაბალი მაჩვენებლის მქონე პერსონალთან სამომავლო ურთიერთობების გადახედვის თაობაზე.
3. წინამდებარე ბრძანებით დადგენილი წესების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, ბრალეული პირის მიმართ გამოყენებული იქნას კლინიკაში დადგენილი დისციპლინური პასუხისმგებლობის შესაბამისი ზომები.
4. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს ვივალებ პირადად.

5. ბრძანება დადგენილი წესით გამოქვეყნდეს ვებ-გვერდზე (wrc.ge). ბრძანება გაეცნოს ბ-ნებს კახა ნურალიძეს, ვაჟა აგლაძესა და კორნელი გრიგოლავას უშუალოდ მათ ინდივიდუალურ ელექტრონულ ფოსტაზე დადგენილი წესით გაგზავნით.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გია გრძელიძე

დირექტორი